



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №048/12<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - მარიამ ჩიბურდანიძე

### ფაქტები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის ზეპირი ფორმით დაიდო იურიდიული მომსახურების შეთანხმება სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა მიუთითა, რომ კლიენტის დასწრება არ იყო საჭირო სხდომაზე და საქმეს თავად მოაგვარებდა. ადვოკატი საპატიო მიზეზის მითითების გარეშე, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის შესახებაც ინფორმირებული იყო. სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოსარჩელეს ამ ქმედებით მიადგა ზიანი. კლიენტის განმარტებით, ადვოკატმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არაფერი არ გააკეთა საქმის გამოსასწორებლად და არ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე, ადვოკატმა პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე შეუცვალა ხელშეკრულების პირობები მოსარჩელე მხარეს. ადვოკატის განმარტებით, მისთვის მოსამზადებელ სხდომაზე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით გახდა ცნობილი მისი კლიენტის მიერ დაწერილი ხელწერილის შესახებ, რომ მას არ ჰქონდა პრეტენზია მოპასუხე მხარის მიმართ სადაო თანხასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ამ სხდომაზე იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, რათა მხარისთვის გაეცნო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება და ის შედეგები, რაც შეიძლებოდა დამდგარიყო მის საქმეზე. ამავე სხდომის შემდეგ, ადვოკატი შეხვდა კლიენტს, გადასცა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და ურჩია, რომ გამოეთხოვა სარჩელი, რადგან საქმის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. თუმცა, კლიენტის მოთხოვნა იყო გაგრძელებულიყო საქმისწარმოება. ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ თუ სურდა, რომ მისი საქმე გაეგრძელებინა, კლიენტს უნდა გაეფორმებინა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მასთან. ადვოკატი განმარტავს, რომ მან უთხრა კლიენტს, რომ იგი არ გამოცხადდებოდა 2011 წლის 9 ივნისის სასამართლო სხდომაზე საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში. ადვოკატის განმარტებით, კლიენტისათვის ცნობილი იყო 2011 წლის 9 ივნისის სასამართლო სხდომის თაობაზე, რადგან პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე ესაუბრა კლიენტს და კვლავ გაუმეორა თავისი პირობები. ადვოკატის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით, მის კლიენტს არანაირი ზიანი არ განუცდია, რადგან საქმის გარემოებებით, ისინი სადაო თანხას ვერ მიიღებდნენ. ადვოკატის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ საქმე არ იყო მომგებიანი და სურდა ხელშეკრულებაში ჩაეწერა, რომ იგი არ იღებდა პასუხისმგებლობას საქმის შედეგზე.

**პროცესუალური ისტორია:** კლიენტმა შეიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიერ აპკ-ის 8.4 (*ძველი რედაქცია - საპატიო მიზეზის არარსებობა ურთიერთობის შეწყვეტის დროს*) და 8.7 მუხლების დარღვევის გამო.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c4837f0a6ad0.pdf/5c4837f0a6ad0.pdf>

**სამართლებრივი შეფასება:** აპეკ-ის 8.4 მუხლის მიხედვით, ადვოკატის მიერ კლიენტთან საადვოკატო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და შეწყვეტა მასთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის კლიენტთან შეთანხმებით ან მისი მეშვეობით უნდა გაუქმდეს ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ადვოკატის ვალდებულებები კლიენტის მიმართ. სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება ხელშეკრულების გაფორმებაზე მხარის უარი, ვინაიდან ადვოკატი თავდაპირველად ახორციელებდა თავის წარმომადგენლოს ზეპირად ხელშეკრულების გარეშე და მხარესაც მიაჩნდა რომ ეს საკმარისი იყო პროცესზე ადვოკატის გამოცხადებისთვის. რაც შეეხება მეორე საფუძველს რომ საქმე წამგებიანი იყო და საჩივრის ავტორმა არ გაითვალისწინა ადვოკატის რჩევა საჩივრის გამოხმობის თაობაზე, ასევე ვერ მიიჩნევა საქმის წარმოების შეწყვეტის პატივსადებ საფუძველად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა იმის მიუხედავად, მისი აზრით, რა შედეგი შეიძლება დადგეს განსახილველ საქმეზე და უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა მიუხედავად მისი შეხედულებისა საქმის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე. ეთიკის კომისია აპეკ-ის მე-8.7 მუხლზე დაყრდნობით განმარტავს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის განხილვაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს იმ პირობებში, რომ კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით და გონივრული ვადა, რომ ახალი ადვოკატი სათანადოდ გაეცნოს საქმის მასალებს და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა. ამასთან, ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნეს გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება. ადვოკატს ჩვენ შემთხვევაში ნათლად არ განუმარტავს, რომ იგი წყვეტდა საადვოკატო მომსახურებას, ასევე ეთიკის კომისიის ანალიზით არც გონივრული ვადა არ მიუცია ადვოკატს სხვა ადვოკატის აყვანისათვის, რადგან მოლაპარაკებები მათ შორის ჯერ კიდევ მთავარ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე მიმდინარეობდა.

**დასკვნა:** ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის 8.4 და 8.7 მუხლების დარღვევა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განუსაზღვრა გაფრთხილება.